სკოლის საქმიანობაში მშობელთა ჩართულობის ხარისხის შეფასების მექანიზმები საბაზო საფეხურზე

ნინო ძმანაშვილი

მარიამი ჯინჯიხაძე

ქრისტინა ცარციძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

ზოგადი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო რევიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო ძმანაშვილი

მარიამ ჯინჯიხაძე

ქრისტინა ცარციძე

30.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის შედეგს, რომელიც განხორციელდა **სსიპ-თბილისის 156-ე საჯარო სკოლაში** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

საკვლევ თემას წარმოადგენდა მშობელთა ჩართულობის ხარისხის შეფასების მექანინიზმები საბაზო საფეხურზე. კვლევის თეორიულ საფუძველს ქმნის ქარისა და ადამსის მშობლის როლის კონსტრუქცია რავნის „ერთობლივი მოქმედების მოდელის“ ოთხ ფუნდამენტურ ფუნქციასთან ერთად. მშობლის როლის კონსტრუქცია მოიაზრებს იმას, რომ მშობელი საკუთარ როლს აგებს პირად გამოცდილებასა და სხვათა გავლენის საფუძველზე, იყალიბებს საკუთარი ეფექტურობის რწმენას და ამის შემდეგ მოქმედებს. მშობლის კონსტრუირებული როლები კვლევაში დაჯგუფებულია რავნის „ერთობლივი მოქმედების მოდელის“ ოთხი ფუნქციის მიხედვით:

1. ექსპრესიული ფუნქცია
2. სოციალური ფუნქცია
3. საინფორმაციო ფუნქცია
4. მაკონტროლებელი ფუნქცია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სკოლის საბაზო საფეხურისთვის მშობელთა ჩართულობის ხარისხის შეფასების მექანიზმების შექმნა. მიზნის მისაღწევად დადგინდა, როგორ განისაზღვრება საკვლევი ობიექტის საზოგადოებისთვის მშობელთა ჩართულობა, სად არის განსვლა და თანხვედრა ამ კუთხით, როგორი შეიძლება იყოს სკოლის პროაქტიული როლი მშობელთა ჩართულობის თვალსაზრისით, გამოვლინდა მშობელთა ჩართულობის ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დიაგნოსტიკური კვლევისთვის შეირჩა კვლევის თვისობრივი მეთოდები.

დიაგნოსტიკური კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შერჩეული ინტერვენცია წარმოადგენს საბაზო საფეხურზე მშობელთა ჩართულობის ხარისხის შეფასების მექანიზმს, რომელიც მოიცავს: (1) მშობელთა ჩართულობის მოდიფიცირებად სტანდარტს, (2) მოდიფიცირებად სტანდარტზე დაფუძნებულ მშობელთა ჩართულობის ჩეკლისტს, (3) მშობელთა ჩართულობის ხარისხის შესაფასებელ კითხვარებს მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის, დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლებისათვის, (4) მექანიზმის მუშაობის გზამკვლევის შედგენას სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფისთვის, (5) მექანიზმის მუშაობის პრინციპების დეტალურ გაცნობას ხარისხის მართვის ჯგუფისთვის სამუშაო შეხვედრაზე.

განხორციელებული ინტერვენციების სავარაუდო შედეგი არის ის, რომ სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი შეძლებს, ყოველწლიურად დაადგინოს, როგორ იცვლება სასკოლო საზოგადოებისთვის მშობელთა ჩართულობის შემადგენელი კომპონენტები, გაზომოს ამ კომპონენტებში მშობელთა ჩართულობის ხარისხი, გააანალიზოს შედეგები და მასზე დაყრდნობით იმუშაოს მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: მშობელთა ჩართულობა, მშობლის როლის კონსტრუქცია, კონსტრუირებული როლის ფუნქციები, ხარისხის შეფასების მექანიზმი.

Abstract

This thesis work represents the result of the research of practical work, which was implemented in **LEPL Tbilisi Public School N156** within the Master's Program of Education Administration of the Faculty of Business, Technology and Education of Ilia State University.

The research topic was the mechanisms for assessing the quality of parental involvement at the basic level. The theoretical basis of the research is created by the parental role construction of Curry and Adams with the four fundamental functions of Ravni's "Model of Joint Action". The parental role construction considers, that the parent constructs his or her role based on personal experience and the influence of others, forms a belief of his or her effectiveness, and then acts. The constructed roles of parents are grouped in the study according to the four functions of Ravni's "Joint Action":

1. Expressive function
2. Social function
3. Information function
4. Controlling function

The aim of the research was to create mechanisms for the basic level of school in order to assess the quality of parental involvement. In order to achieve this particular aim, it was determined how the involvement of parents is defined for the community of the research object, where is the non-coincidence and coincidence in this regard, what could be the proactive role of the school in terms of parental involvement. As well as, factors contributing to and hindering parental involvement were identified. On the basis of the aim of the study, qualitative research methods were selected for the diagnostic study.

The intervention selected based on the analysis of the results of the diagnostic study is a mechanism for assessing the quality of parental involvement at the basic level, which includes: (1) a modifiable standard of parental involvement; (2) parental involvement checklist based on a

modifiable standard; (3) questionnaires assessing the quality of parental involvement for parents, pupils, tutors, and subject teachers; (4) compiling a work guide of the mechanism for the school quality management team; (5) A detailed introduction of the working principles of the mechanism to the quality management team at the workshop.

The assumed outcome of the implemented interventions is that the school quality management team will be able to determine each year, how the components of parental involvement change for the school community, measure the quality of parental involvement in these components, analyze the results and work on increasing parental involvement based on them.

Keywords: Parental Involvement, Parent Role Construction, Constructed Role Functions, Quality Assessment Mechanism.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის ავტორები მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მოგვაწოდა ინფორმაცია ან დაგვეხმარა სკოლის საქმიანობაში მშობელთა ჩართულობის ხარისხის შეფასების მექანიზმის შექმნაში. ესენია სსიპ- თბილისის N156-ე საჯარო სკოლა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ქალბატონ ნინო რევიშვილს.

მადლობას ვუხდით სსიპ ქ. თბილისის N156-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო ბეგლარაშვილს, სკოლის დირექციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს პრაქტიკის კვლევის ფარგლებში გამოჩენილი გულისხმიერების, აქტიური მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.